

სტერეოტიპები, სირთულეები და მაღალი მოლოდინები

მაია ჭედია — ქ. ფოთის I საშუალო სკოლის მასწავლებელი
ნატალია ტაბიძე — ქ. ფოთის I საშუალო სკოლის მასწავლებელი

Стереотипы, трудности и высокие Ожидания

Резюме

Установите, чтобы сравнить стереотипы современных образовательных технологий в обучении - образование, акцент делается на преподавании информационных и коммуникационных технологий (ИКТ) интеграции и ее значение. Это считается успешным школа для девяти характеристик одного из них - студенты высокими ожиданиями и высоким стандартам, а также разрешение существующих проблем в преподавании химии в пути „ обучения, делая “.

Ключевые слова: раннее обучение, обучение на практике, Информационные и коммуникационные технологии (ИКТ), Национальный план образования.

რეზიუმე

გადმოცემულია საგანმანათლებლო სფეროში არსებული სტერეოტიპების შედარება თანამედროვე სპეციალურ პედაგოგიურ ტექნოლოგიასთან — განმავითარებელ სწავლებასთან, ყურადღება გამახვილებულია სწავლებაში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) ინტეგრაციასა და მის მნიშვნელობაზე. განიხილება წარმატებული სკოლის ცხრა მახასიათებელთაგან ერთ-ერთი მათგანი — მოსწავლეების მიმართ მაღალი მოლოდინები და მაღალი სტანდარტები, აგრეთვე ქიმიის სწავლებაში არსებული პრობლემების გადაწყვეტის ერთ-ერთი გზა „სწავლა კეთებით“.

საკვანძო სიტყვები: განმავითარებელი სწავლება, სწავლა კეთებით, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ისტ), ეროვნული სასწავლო გეგმა (ესგ).

ძირითადი ტექსტი

ქიმია საოცრად უფითარებს ახალგაზრდობას აზროვნებასა და ინტელექტს. იგი ხომ ზოგადსაკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რადგან ქიმია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს შორის ცენტრალური ფუძემდებლური მეცნიერებაა და თავისი წვლილიც პლანეტაზე ყველაზე რთული მოვლენის, სიცოცხლის საიდუმლოების შეცნო-

ბაში, ძალზე დიდია. ადამიანი მოქმედებისნებისმიერ სფეროში დაკავშირებულია მატერიალური სამყაროს გარკვეულ გამოვლინებასთან - ნივთიერებათა ცვლასთან მოცემულ პირობებში.

გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ნებისმიერი პროფესიული ამოცანის გადაწყვეტაში ქიმიას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და ეს საკმარისი საფუძველია მისი საყოველთაო სწავლებისათვის, მაგრამ ფაქტია, რომ ქიმიისადმი მოზარდების ინტერესის დაქვეითება სასკოლო განათლების საერთო ტენდენციაა მთელს მსოფლიოში. ქიმიისადმი განწყობა ქართველმოსწავლეებშიც რბილად რომ ვთქვათ, არ არის დადებითი.

რა არის ამის მიზეზი? სად არის გამოსავალი?

უპირველესად გადასახედია სწავლების ძველი, ტრადიციული მეთოდები. ადრე მოქმედი დიდაქტიკის კურსი სრულად გამოუსადეგარი იყო კრიტიკულად მოაზროვნე და არასტანდარტულ სიტუაციაში ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების უნარის მქონე პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა ჩვენს სკოლებსა და უნივერსიტეტებში გამოყენებული სწავლების მეთოდები ორგანიზაციის ფორმები და სასწავლო საგნების აგების მეთოდოლოგია.

თანამედროვე სპეციალური პედაგოგიური ტექნოლოგიით, რომელსაც განმავითარებელი სწავლება ეწოდება, მოსწავლე მოიზარება სრულფასოვან სუბიექტად, რომელიც თვითონ მოქმედებს, თვითონ სწავლობს, მასწავლებელი კი მისთვის გეზის მიმცემია. ერთი და იმავე მოქმედების შესრულებისას მოსწავლეს შესაძლოა ამოძრავებდეს სრულიად სხვადასხვა მოტივი: თავი მოაწონოს მასწავლებელს, თავიდან აიცილოს მშობლის საყვედური, ან მისგან მოიპოვოს კარგი ნიშნისათვის დათქმული ჯილდო. შეასრულოს მოვალეობა, ან ეძიოს პასუხი თავისსავე შეკითხვებზე. მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს მოსწავლის ქმედება მიზანმიმართულად. მიზნებსა და აქტივობებში ჭარბობს ისეთი დავალებები, როდესაც მოსწავლეს გააზრებული აქვს, რომ მან თვითონ უნდა შეცვალოს

საკუთარი თავი, თვითონ უნდა ისწავლოს და განვითარდეს.

ტრადიციულ მიდგომასთან შედარებით ეს ასე გამოიყურება:

ტრადიციული მიდგომა	განმავითარებელი სწავლება
ფუნქციური სწავლება მოსწავლეს ასწავლის სასწავლო ამოცანის გადაწყვეტას, მოსწავლე იმყოფება იმ ინდივიდის მდგომარეობაში, რომელსაც ასწავლიან.	მოსწავლეს ასწავლიან მიზნის დასახვას საკუთარი განვითარებისათვის. მოსწავლე იმყოფება იმ სუბიექტის მდგომარეობაში, რომელიც თვითონ ასწავლის თავის თავს.

მოსწავლე იმყოფება მკვლევარის, შემოქმედის პოზიციაში. მართლაც, იმისათვის, რომ მან აითვისოს პრინციპი, აღმოაჩინოს, უნდა ჩაატაროს გამოკვლევა.

ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სწავლებაში.

ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას, მოსწავლეთა ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესში ესგ გათვალისწინებული საკითხების უკეთ გაგებასა და გააზრებას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისტ-ის გამოყენება ქიმიის გაკვეთილებზე, სადაც საგნის 1/3 ეთმობა ექსპერიმენტს.

ისტ-ის ინტეგრაცია სწავლებაში არის ინოვაციური საქმიანობა, რომელიც ნაკლებად ერგება სკოლის ძველ ტრადიციულ მოდელს.

ისტ-ის გამოყენებით იცვლება სასწავლო გარემოს ხედვა, სწავლის გარემო არ არის შეზღუდული ფიზიკური სივრცით. მისი შემადგენელი ნაწილია ვირტუალური სივრცე, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს და მასწავლებლებს „გადავიდნენ“ საკლასო ოთახის კედლებს გარეთ და დაუკავშირდნენ მთელ მსოფლიოს.

რატომ უნდა გამოვიყონეთ ნებ 2.0 ტექნოლოგიები სწავლა-სწავლებაში? რა სარგებელი მოაქვს ამ ტექნოლოგიებს მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის?

ა. ჭებ 2.0 ტექნოლოგიები ზრდიან მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხს. სწავლა ამ ტექნოლოგიების გამოყენებით უფრო მიმზიდველია, ვინაიდან უფრო ახლოსაა რეალურ საქმიანობასთან.

ბ. ჭებ 2.0 ტექნოლოგიების გამოყენებით მოსწავლე არა მხოლოდ სწავლობს, არამედ

მონაწილეობს ცოდნის შექმნაში, ასეთი შესაძლებლობა მოსწავლეებს ადრე იშვიათად თუ ეძლეოდათ, მაგალითად მოსწავლის მიერ შექმნილი ბლოგი და იქ გამოქვეყნებული ინფორმაცია არის მისი წვლილი ინტერნეტის კონტენტის შექმნაში. ეს მნიშვნელოვანი სოციალური აქტივობაა, რომელიც ზრდის მოსწავლეების მოტივაციას.

გ. ჭებ 2.0 ტექნოლოგიები გვაძლევს თანამშრომლობის რეალურ შესაძლებლობებს

დ. ჭებ 2.0 ტექნოლოგიები ხელს უწყობს კრეატიულობის ზრდას, რიგით მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა შექმნას მულტიმედიური პროდუქტები გამოაქვეყნოს ინტერნეტში და მიიღოს შეფასება სხვადასხვა შეფასებისგან

ე. ჭებ 2.0 ტექნოლოგიები ხელს უწყობს დისკუსიის და კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას. ურთიერთობა რეალურ აუდიტორიასთან მოითხოვს მეტ პასუხისმგებლობას.

ამჯერად თქვენი ყურადღება მიიწვი შევაჩერო წარმატებული სკოლის 9 მახასიათებლისაგან ერთ-ერთზე მოსწავლეების მიმართ მაღალ მოლოდინებსა და სწავლის მაღალ სტანდარტებზე.

წარმატებულ სკოლებში სჯერათ, რომ ყველა მოსწავლეს შეუძლია ძირითადი სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის დაუფლება და უნარ-ჩვევების განვითარება, მასწავლებლებს კი შეუძლიათ აღნიშნული მიზნების მიღწევაში დაეხმარონ.

მაღალი მოლოდინი არის ნებისმიერი მოსწავლის წარმატების წინაპირობა, მოსწავლე, რომლის მიმართაც აქვთ პოზიტიური განწყობა და რომლისგანაც ბევრს ელიან, ყოველთვის ცდილობს შესაბამისად უპასუხოს ამას, როგორც აკადემიური (თეორიული და პრაქტიკული) საქმიანობით. ამიტომაც მოლოდინი ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს თამაშობს და ფაქტობრივად განსაზღვრავს მოსწავლის წარმატების ხარისხს.

არის იმედი, არის მოლოდინი,

არის მოლოდინი, არის შედეგი.

სწავლება ორიენტირებულია შედეგზე, ეს არის მომავლის სკოლა თანამედროვე გაკვეთილებით, ახალი მიზნებით და ამოცანებით.

სიახლე სხვა მრავალ ასპექტთან შორის გულისხმობს ყურადღების გამახვილებას კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებაზე. თუ აქამდე ექსპერიმენტის ჩატარების დროს, მოსწავლე ძირითადად დამკვირვებლის როლში

გამოდიოდა, ხოლო შემსრულებელი მასწავლებელი იყო, ახლა თითოეულმა მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულად მუშაობა, კვლევის ჩატარება, შედეგების აღრიცხვა და განალიზება, სათანადო დასკვნების გაკეთება.

„მითხარი, და დამავინყდე;
მაჩვენე, და დავიმასხოვრებ;
მომეცი დამოუკიდებლად მოქმედების
საშუალება, და ვისწავლი.“

ძველი ჩინური სიბძნე

ჯონ დიუის კონცეფციის მიხედვით „განათლება ცხოვრებისათვის კი არ უნდა ამზადებდეს, არამედ თავად უნდა იყოს ცხოვრება. „ამ ფორმულით მოსწავლე არ ელის როდის გახდება ზრდასრული, რომ რაღაც სიხარული მიიღოს, ის არ არის ჭუპრი, რომ მისგან ოდესღაც ლამაზი პეპელა გამოიჩეკება, იგი თავიდანვე ლამაზი და ჭკვიანია.

თეორიული და პრაქტიკული ორიენტაციის გარმავება სამეცნიერო-კვლევითი ბაზის განვითარების აუცილებლობას ქმნის.

„საზოგადოება განათლებისაგან მოითხოვს ძალზე ბევრს, თანხები კი ცოტა გამოიყოფა.“ „ცოდნის ძალით“ მოძრავი საზოგადოება ცოდნის გარეშე ვერ განვითარდება, განათლებისათვის გამოყოფილი თანხების საერთო რაოდენობიდან სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხა მინიმალურია.

პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებისათვის „კეთებით სწავლისათვის „სათანადო მატერიალური ბაზაა საჭირო. ამჟამად სკოლებს აქვთ მეტ-ნაკლებად სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელსაც სჭირდება ყოველწლიურად შევსება-გამდიდრება.

ამ კუთხით მინდა გვიამბოთ ამჟამად ფოთის პირველი საჯარო სკოლის ქიმიის კაბინეტ-ლაბორატორიის შესახებ. მისი დამაარსებელი იყო რესპუბლიკის დამსახურებული მეთოდისტ-მასწავლებელი, ქიმიის პედაგოგთა მრავალი თაობის აღმზრდელი, მრავალი დიპლომის, სიგელის, მადლობის, მედლები და ორდენების მფლობელი ფოთის საპატიო მოქალაქე ქალბატონი თინა ჭოჭუა (1917-2007).

გვეამაყება, რომ ვართ იმ სკოლის მასწავლებლები, სადაც ქიმიის სწავლება-სწავლა სხვადასხვა დროში და თაობებში მუდმივად მიმდინარეობდა თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

ამისათვის უღრმესი მადლობა ან გარდაცვლილ ქალბატონ თინა ჭოჭუას, ჩვენს აღმზრდელსა და დამრიგებელს, რომელმაც თავისი

უანგარო, თავდაუზოგავი და მუხლჩაუხრელი შრომით გაუსაძლის პირობებშიც კი შეუძლებელი შეძლო - შექმნა უნიკალური ქიმიის კაბინეტ-ლაბორატორია უმდიდრესი სასწავლო რესურსებით, თვითნაკეთი კომბინირებული თუ ავტომატური ხელსაწყოებითა და სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებით, რომლის მსგავსიც ძნელად თუ მოიპოვება განვითარებული ქვეყნების განათლების კერებშიც . . .

მინდა სტატია დავასრულო მისი ყოფილი მოსწავლეების მოგონებებით თინა მასწავლებელზე და განათლების ყოფილი მინისტრის ალექსანდრე კარტოზიას ჩანაწერით ქიმიის ლაბორატორიის შთაბეჭდილების ნიგნში.

ია ხარებავა:

ჩემო თინა მასწავლებელო !

რამდენჯერ მოვსულვარ, რამდენჯერ მინახავს ეს საოცარი ლაბორატორია, იმდენჯერვე გაკვირვებული და აღფრთოვანებული ნავსულვარ აქედან. ასე იყო დღესაც, მე კი არა, იგივე განიცადეს ჩემმა პატარებმაც, რომლებმაც არ იციან რა არის საოცარი და რა არის ჩვეულებრივი.

ეს ლაბორატორია ხომ შედეგია უპირველეს ყოვლისა გმირობამდე ამაღლებული შრომის, ეს ხომ შედეგია დიდი ტრფობის, ოპტიმიზმის, ენთუზიაზმის, დახვეწილი გემოვნების, თავგანწირვის და ასე შეიძლება გააგრძელო დაუსრულებლად . . .

ეს ლაბორატორია აოცებს ყველას და კვლავ მაოცებს მეც. თითქოს არ უნდა გავვოცებულყავი, არა იმიტომ რომ ბევრი მინახავს და ვიცი, არა მე ხომ თქვენი მოსწავლე ვიყავი, თქვენი უახლოესი მეგობრის შვილი ვარ და თითქოს უნდა მცნობოდით სხვებზე მეტად.

ვარ ამ გაბრწყინებულ ალაგს და წასვლა მეზარება, საითაც არ გაიხედავ, რომელ კუთხე-კუნჭულსაც არ მიადგები ყველაგან სიზუსტე და სიფაქიზე შემოგანათებს.

მხოლოდ ჯანმრთელობას და დიდი ხნის სიცოცხლეს გისურვებთ, თუ თინა მასწავლებელი კარგად იქნება, მაშინ კიდევ და კიდევ დახვეწა-გალამაზება უნერია მის ამ განყოფილ ნაწილს, მოსწავლეთა სავანედ ქცეულ, ქიმიის ლაბორატორიას.

სიყვარულითა და პატივისცემით

თქვენი ყოფილი მოსწავლე და

ახლა შვილივით ახლობელი

ია ხარებავა

20/07/84

P.S. არ შემიძლია არ გამოვტყდე, რომ მშურს იმ ბედნიერი თაობისა, რომელსაც აქ, ამ წარმტაც, შეუდარებელ კაბინეტში აფრთიანებდით. დარწმუნებული ვარ, რომ ის რაც ცვენს დროს იყო, იყო დიდებული და ბევრ სხვაზე აღმატებული.

მანანა გუგუშვილი:

ძალიან ძნელია ისაუბრო დიდ ადამიანზე და განსაკუთრებით ძნელია ილაპარაკო თინა მასწავლებელზე.

ვინც იცნობს და იცის მისი ხასიათი, მხოლოდ ის მიხვდება რისი თქმა მსურს.

გასახსენებელი ძალიან ძნელია, მაგრამ მე მინდა ჩემს ბავშვობის, მოსწავლეობის ხანას დაუუკავშირო ეს მოგონება. დღეს, როცა მეც მასწავლებელი ვარ და ვიცი რა შრომა დევს ამ პროფესიაში, სულ სხვა თვალთ ვუყურებ თინა მასწავლებლის ნამოღვანარს. ამ პროფესიის ადამიანთათვის სამუშაო სათი სკოლაში არც იწყება და არც მთავრდება, მაგრამ ის რასაც თინა მასწავლებელი აკეთებდა დღევანდელი გადასახედიდან ჩემს დიდ გაცეხას იწვევს. მისთვის არც არაადეგები არსებობდა და არც დღესასწაულები, არც განსაზღვრული სამუშაო დრო. დილით, ძალიან ადრე იწყებდა კონსულტაციების ჩატარებას და გვიან საღამოს გამოიხურავდა ხოლმე ლაბორატორიის კარებს, უაღრესად შრომისმოყვარე და სამართლიანი იყო თინა მასწავლებელი. დიდი რიდი და მოკრძალება მაქვს ამ ქალბატონის მიმართ.

... „დიდი ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან“. თინა მასწავლებელს კი ძეგლი არ სჭირდება, მისი უკვდავება, ეს ქიმიია კაბინეტ-ლა-

ბორატორიაა რომელიც ყოველთვის აოცებდა და კიდევ მრავალჯერ გააოცებს მნახველს.

მანანა გუგუშვილი

1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ალექსანდრე კარტოზია:

უნდა გამოვტყდე, რომ ასეთი კაბინეტი არ მინახავს, არათუ არცერთ სხვა სკოლაში, არამედ ბევრ უმაღლეს მასწავლებელშიც.

ვერ ვფარავ აღფრთოვანებას.

მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ვუსურვებ სიკეთეს, წარმატებებს და ქალბატონი თინა ჭოჭუას ტრადიციის ღირსეულ გაგრძელებას.

პატივისცემით

ალექსანდრე კარტოზია

12/11/1999 წ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი - სკოლის დირექტორის პრაქტიკული გზამკვლევი
2. ბელა გომელაური - ევროპული დიდაქტიკა
3. ფოთის 1 საჯარო სკოლის ქიმიის ლაბორატორიის საარქივო მასალები.